

საგაზეთო


საერთოული გაზეთი

საბჭოთაეთი 22 მაისი 2003 №92 (1863)

ფასი 50 თეთრი



თასები და ათასები პორტუგალია 3:2 სელტიკი პორტუგალია უოტლანდია დარდით დაათრე




REUTERS სტოკჰოლმი



პენაში, ბალახ-ბულახში პარტიზანის ყვალა ქალი

„რაპიდიდან“ წასული კაცი სამოქალაქო ომში სცადა ერთმა თანამებრძოლემ ურალისკმა დარწმუნა, საშემოდგომო არჩევნებზე კონსერვატორთა ლიდერ ვლადიმერ შტოიბარს მხარს თუ დაუჭერ, მისი გამარჯვების შემთხვევაში გერმანიის სპორტის მინისტრის საკარბილე გელოდებდა. ლოთარი ფსონს შტოიბარზე ჩაივლიდა, მაგრამ კონსერვატორები დამარცხდნენ.

ლოთარ მათეუსის „პარტიზანი“ სერბეთ-ჩერნიგორიის ჩემპიონია, თავად გერმანელს კი ქალთა გუნდების დაპყრობაში ჩემპიონობაზე აქვს პრეტენზია. ორი ცოლი გამოიცვალა. ჯერ სილივიასთან, შემდეგ კი ლოლიტასთან განშორების შემდეგ არაერთი მშფოთვარე სასიყვარულო გვირაბი გაიარა, მაგრამ დაქორწინებაზე აღარ უფიქრია. ვენის „რაპიდიდან“ მარშან გაბუნძულებული მათეუსი, სანამ ბელგრადში სამსახურს შესთავაზებდნენ, უსაქმოდ დაყოლობდა და ავსტრიის დედაქალაქში მორიგ სატროფოს გადაანყდა.



ლოთარ მათეუსი ახლა ახალი ლოლიტათი ერთობა


მოგვიანებით იგი უნგრელებმა გააცურეს. თავად გერმანელი იქალებოდა, უნგრელებმა ერთგული ნაცრების მთავარი მწვრთნელობა შემომთავაზეს, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ მათეუსი საერთოდ არავის გახსენებია.

პოლა, მარშან ნოემბერში, დროებით უმუშევარი 41 წლის გერმანელი ვენის ერთ-ერთ ვალერეაში სურათების დასათვალიერებლად შევიდა. სწორედ იქ შეათვალიერა ჯულია კონერგა, უკრაინული წარმოშობის ავსტრიელი. თუ მათეუსი უსაქმობისგან დაეხეტებოდა დერეფნებში, გოგონა ვალერეას საქმიანი ვიზიტით სტუმრობდა.

აქ ოდნავ გადავუხვევთ. მოდით, ვუთხარს სანათესავოს შევეუაროთ. ბებია უკრაინაში ცხოვრობს, ხოლო მამა — ანატოლი კონერგა — ვენაში ცნობილი კაცია, რადგან სახელგანთქმულ ოპერაში მღერის.

გერმანულმა პრესამ მათეუსის ნათქვამი ურთიერთობების დასასრულად მონათლა, მაგრამ ამჯერად შეცდა. ლოთარმა ურნალ „ბუნტეს“ აუწყა: „ჩვენ არ დავმორიდებით და მე ამის შესახებ არაფერი მითქვამს. მხოლოდ გაგებარები, მაგრამ წყენამ გადაძარა. ვუთხარს თან განშორებას არ ვაპირებ, იმიტომ, რომ მიყვარს.“

ლოთარმა თავი დაჩაგრულად გამოიყვანა, მაგრამ პრესამ მალევე შეჯორა. ორმოცდაერთი წლის კაცს შვილისტოლა გოვოსთან... მათეუსის უფროსი ქალიშვილი ალისაც ჩვიდმეტე წლისაა.



კავალერს ასაკი სულაც არ აღემატება. „ჩემს პასპორტში ნუ იქვეებით, თავს ვმარცხავ კაცივით ვგერძობ, თან ვუთხარს მთლად ბალდი აღარაა.“

ეს ამბავი მათეუსის საყვარელი ფილმა ულრიკა კლეგერმა შეიტყო და „ბილდის“ ფურცლებიდან ვუთხარს დაარიგა: „გოგონა, ფრთხილად! ის შენი ღირსი არაა. იგი ცნობილია, ჩემპიონია და მამალი ინდურივით იფხორება. მასზე წარმოიდგინა მაშინვე დაგეგმე, ახლოს რომ გაიცნობ. იმჟამად მიხვდები, ვისთან გექვს საქმე. მასთან სარეცელს თუ გაიზარებ, ნახავ, დიდი ვერაფერი ვაუბატიონია. ლოთარი სწორედ ნულია, ნული!“

ჯულია ჩვიდმეტისაა და ჯერ მარადიული სიყვარულის ზღაპრისა სჯერა. სჯერა, რომ მათეუსის მორიგი მსხვერპლი არ გახდება. თვითონ მათეუსი მომავლის თაობაზე კითხვებს გაურბის და ასე პასუხობს: „მომავალზე ვერაფერს ვეტყვი, ჩვენ აწყნით ვტყვებით და მერე რა იქნება, არავინ იცის.“

ფრანც ბეკენბაუერის მსგავსად, ლოთარ მათეუსიც ცოლების ცვლაში დახელოვანია.

თავის პირველი რჩეული, სილივა, მეოთხე კლასში გაიცნო. მერვე კლასში სიყვარულით დატყდა და 1981 წელს დაქორწინდნენ.

სილივა მამინ პეიდელბერგის პრესტიჟული უნივერსიტეტში სწავლობდა. გახარებულმა სწავლა მიატოვა და კარიერა სიყვარულში გაცვალა. მას სურდა, ცხოვრება ლოთარისთვის მიემდინათ. წყვილი მიონენგლადბახიდან მუნენში, იქიდან კი მილანში გადავიდა. 1986-ში მათ ალისა შეეძინათ, ორი წლის თავზე კი მეორე გოგო — ვიოლა. პირველი შვილისთვის მამამ მუდმივ ბრლიანტის ყელსაბამით დასამუქრა, მეორისთვის კი — იახტით, რომელსაც წარწერა — „სილივა“ — ამშვენებდა.

იტალიაში მათეუსის ოჯახი კარიმატში ცხოვრობდა და ცხადია, ყველაფრით უზრუნველყოფილი იყო. მათ სახლს დღე-ღამე ხუთი მეცხელი იცავდა.

სილივისა და ლოთარის ურთიერთობა ყველას იდეალურად მიაჩნდა, მაგრამ კაცმა ვხიდან გადაუხვია და მანო ლოლიტა მორეა შეიყვარა.

1982 წელს 20 წლის ლოლიტას ერთმა მეგობარმა „მის შევიცარის“ კონკურსში მონაწილეობა ურჩია. იგი ულამაზესად ცნეს. მერე იყო თავბრუდამხვევი ტრიუმფი. რამდენიმე თვეში „მის მსოფლიოს“ და 1983-ში „მის სამყაროს“ კონკურსებზე მესამე ადგილი. პოლიუმზე წარმატებებს მხოლოდ სილამაზით კი არა, ნიჭითაც აღწევდა. ლოლიტა ხუთ უცხო ენას ფლობს.

საქვეყნოდ ცნობილი ქალიშვილი მალე სატელევიზიო შოუს წამყვანად მიიწვიეს. ლოთარმა იგი 1986 წელს ერთ-ერთ წვეულებაზე გაიცნო. ერთმანეთი ერთი ნახვით შეუყვარდათ და კარგა ხნის მანძილზე მალულად ხვდებოდნენ. პარტიზან-კონსპირატორმა საიდუმლო დიდხანს შეინახა. ხუთი წლის მანძილზე სილივიამ ვერაფერი იცნო, თუმცა წყვილი ერთ-ერთ სასტუმროში მორიგი შეხვედრისას „ბილდის“ კორესპონდენტმა გამოიჭირა და დაფარული გაეცხადდა.

სილივიამ საყვარელი მეუღლის ფოტო „ბილდში“ ნახა და თავიდან არ აღელვებულა, არა უმავს, გაიარა კაცმა, რა მოხდა. რა მოხდა და ლოთარის ცოლ-შვილი სულ გადავიწყვდა და ლოლიტას აეტორიდალა.

გაყრა გარდაუვალი იყო. სილივა ბავშვებითურთ აბარგა და მიუნხენში დედამთილ-მამითის მიაკითხა. ქალბატონმა კატარინამ და ბატონმა ჰაინცმა რძალი პატივით მიიღეს, თავის შვილს კი უწოდეს, იდოტი, რომელმაც ოჯახის ქალი და დედა მიატოვა.

მამა ხუციზილი



მართლა ლოლიტამ ლოთარს დალატი არ აპატიო



მათეუსის ცოლ-შვილი მიუნხენში ლოთარის დედ-მამასთან ცხოვრობს

მასპინძელი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ვლიკაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედიო);
ა. ზაქარაია (ქუთაისი); ს. ზამბაჩიძე (სპორტ); ბ. პეტრიაშვილი; დ. იმედაშვილი; გ. მამუკაშვილი

ამ თამაშს ოქროს ფასი აქვს — თუ „დინამო“ მოიგებს, ცოტაც, და ოქროში ამოივლებს თავს — ბოლოს ტურში „ეროვნულზე“ მისი შემჩრებელი „სიონი“ ვერ იქნება.
სავაზაფხულო ეტაპზე „დინამომ“ „ლოკომოტივი“ ყველაფერს აბურთავა და რკინიგზა თუ თავმოყვარეა, მაღალ ძაბვაზე უნდა იმუშაოს — ლუის ცაქარაიას გუნდისთვის ეს მატჩი ღირსების საქმეა.

პერუდან ხორვატიამდე შორია, მაგრამ შუა-ცაქარაიასის გუნდებს დიდი უფსკრული სულაც არ ყოფს და დღეს „ლოკომოტივზე“ საფეხბურთო ჭახანი უნდა ისმოდეს.
გუმინ „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს სიტყვა ჩამოვართვით, საქმეს დღეს ვიხილავთ და სალაპარაკოც მერე და გვექნება


შუშაკი: ვლუს-მინუსი არ მოგვატყუებს

ალექსიძე: თავს უნდა ჩამოვართვოთ

ყო შუშაკი: როგორც მოგეხსენებათ, 30 მაისამდე „დინამომ“ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და ყველა მატჩისთვისაც საგანგებოდ ემზადებით. ზოგადად „ლოკომოტივთან“ მატჩი დერბია, მაგრამ ეს კონკრეტული თამაში დერბიზე უფრო მტკიანი — ამ შეხვედრას ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია.
ჩვენ მტკივნეულად აღმოგონდება არ არის ამ მატჩის შედეგის გამო. გარკვეული უპირატესობები ჩვენც გაგვანია — საამბატო დიდი მოტივაცია და ის, რომ „ლოკომოტივს“ ბოლო სამი თამაში მოუგვტოვა. თუმცა ყოველივე ეს თავს ვერ მოგვატყუებინებს — მხოლოდ ამის იმედად როდი ვართ. თუ მოვიგებთ, ბოლომდე მაინც ვერ გავიზარებთ. იმედია, ამას 30 მაისს შევძლებთ — თასის მოგებითა და ჩემპიონობით ერთიანად გავიზარებთ.
გორგი შაშაშვილი: მნიშვნელოვანი მატჩია — თუ მოვიგებთ, ალბათ ჩემპიონები გავხდებით. გამარჯვება ჩვენთვის აუცილებელია „ლოკომოტივს“ კარგი თავ-

დასხმა ჰყავს ნანა დიდი სისწრაფით არ გამოირჩევა, მაგრამ ბურთის კარგად ფლობს, დავით სირაძე კი ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია. წარმატებისთვის ჩვენთვის მთავარი ის იქნება, რომ გოლი არ გავუშვათ.
ლადო ბურდულაძე: რაც კი მთელი წელიწადი ვიწვალეთ, ყველაფერი ხვალ გადაწყდება. ასეთ დროს უკან ხომ არ

დავიხვეთ?! საქმის შუა გზაზე მიტოვება არ გამოვა. „ლოკომოტივი“ სერიოზული მტრია. მას ბოლო სამი თამაში მოუგვტოვა და ლოკომოტივები ახლა თავიანთი რეპუტაციის აღდგენას შეეცდიან. რთული თამაში გველის. „ლოკომოტივს“ კარგი ნახევარდაცვა ჰყავს — ჭიჭვიშვილი, სირაძე, ბურნაძე... სისწრაფეში „ლოკომოტი-



იგორ შუშაკი

— „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩამდე მჯეროდა, მტრებს დაგამარცხებდით, მაგრამ ფრე სანატრელი გახდა. დღეს გადაჭრით ვერაფერს მოგახსენებთ, მანსები ორივე გუნდისთვის თანაბარია. ფეხბურთელებიდან წინასამატჩო კომენტარი დავით სირაძემ არ დაიხარა, ზოგმა თავი შეიკავა, ზოგმა, ნამატჩევს ვისაუბროთო.
— ხვალინდელ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა რომც არ ჰქონდეს, „დინამოსთან“ მაინც ყველა მტრი მონდობებით თამაშობს. „ლოკომოტივს“ კი განსაკუთრებული სტიმული გაანია, რათა ხვალ იმარჯვოს — „დინამომ“ წლეულს სამივე თამაში მოგვიგო და ყველანაირად ვეცდები, ეს მეთხუდ ვერ შეძლოს. ჩვენ მაქსიმუმს გავიღებთ და გამარჯვებისთვის ვიბრძობებთ, რათა ქომაგებსა და კლუბის თავკაცებს ხასიათი გამოუვუკუთოთ.

„ლოკომოტივის“ პერუელმა მწვრთნელმა ლუის ცაქარაისმა გუშინდელი ვარჯიში ერთ საათში დაასრულა, ფეხბურთელები გასახდელში გაისტუმრა და „ლოკომოტივზე“ შეკრებილ ჟურნალისტებს დაგველოდა

ცაქარაიასის იმიჯის თაბაში




დავით სირაძე

— ყველამ იცით, ორივე გუნდისთვის რა მნიშვნელობას იძენს ხვალინდელი თამაშის შედეგი. „დინამო“ ჩემპიონობას ესწრაფვის და თავდაუზოგავად ეცდები, საჩემპიონო ტახტს რაც შეიძლება მიუახლოვდეს. ჩვენ კი უნდა ვეცადოთ, რომ ევროპისკენ მიმავალი გზა არ დაკარგოთ.
ესეც რომ არ იყოს, ხვალ დერბია, რომელიც ყველაფერს თავისებური ინტრიგით და დაძაბულობით გამოირჩევა. ხვალ დიდი ბრძოლა იქნება. „დინამოსთან“ დაპირისპირებას ჩვენ იმიჯის თამაშს ვუწოდებთ. თანაც რევანშის წყურვილი გვკლავს. წლეულს შუშაკის გუნდმა სამჯერ დაგვამარცხა და დროა,



ლუის ცაქარაისი

ბრწყალეები „ლოკომოტივს“ გამოაჩინოს.
— თქვენ ევროპისკენ მიმავალი გზა ახსენეთ. შეიძლება უფროს თასის გათამაშებას ვერ უწიოთ, მაგრამ ინტერტოტო ზომ ვეროპაში წაგივანთ, მით უმეტეს, რომ ქუთაისის „ტორპედომ“ ინტერტოტოზე უარი განაცხადა.
— მოდი, მოვლენებს ნუ დავაჩქარებთ, ხვალინდელი თამაშის შედეგს დაველოდოთ. წინასწარ არავინ იცის, რა იქნება, ინტერტოტოზე უარი იქნებ „ლოკომოტივს“ თქვას.
— როგორ თამაშს პირდებით გულშემატკივრებს?
— თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ორივე გუნდს გამარჯვება სჭირდება, მაშინ შემტევი და სანახაობრივი ფეხბურთი უნდა იყოს. ერთმანეთის წინაშე ორი კარგი გუნდი დადგება, მატჩს საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯე განსჯის. პირადად მე სერგო კვარაცხელიას გამოცდილებას დიდად ვაფასებ, მოედანზე არ არის ურიგო და ვერ გამოვია, ცუდი თამაში რად უნდა იყოს. მე ქომაგებს „ლოკომოტივზე“ კარგი თამაშის სანახავად ვეპატივებ.
— „ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრის შემდეგ ტაქტიკის შეცვლას, ანაც შემაღვენილობაში ცვლილებას ხომ არ გეგმავთ?
— ტაქტიკის შეცვლაზე რაღა მოგახსენოთ, „ლოკომოტივი“ ჩვეულ სტილში ითამაშებს. რაც შეეძლება შემაღვენილობას, იქ შეიძლება გარკვეული გადაადგილებებიც მოგახდინოთ.
— „ლოკომოტივს“ „დინამოს“ ძლევა შეუძლია?



ნანა მუსხელიანი

ბოლო ბურთის კოვალუხი ბილაფსი, ჯოლავსი და ბარი

20 მაისი

ადოსავლეთი

დეტროიტი 0:2 ნიუ ჯერსი

დეტროიტი 86:88 ნიუ ჯერსი

დეტროიტი: ბილაფსი (16), ჰამილტონი (24), ბრინსი (6), რობინსონი (11), ვოლესი (7)...

„დეტროიტმა“ პირველმა მოახერხა წლებადეულ პლეი ოფსი, „ნიუ ჯერსისთვის“ პირველი ტაიმი მოგვო...

„ნიუსი“ ზედიზედ მერვე საპლეიოფო თამაში მოიგო, ისევე ორქულისანი სხვაობით „დეტროიტის“ საქმე ვიწას...

„დეტროიტელმა“ მატჩის ხსენს შანსი შეინარჩუნა, მინიმუმ ბოლო ბურთის კომპლექსი სჭირთ თუ რა...

დღის გმირი კი ნიუჯერსელმა ბუქოვიჩი, მარტინი და მარტინი გახლავთ. კინც თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში...

კოტე ჟორგია

ბურაბ დეულენავაშვილი ფოტო




დრაჟენ პეტოვიჩი

დინამო 0:1 ბასკო

20 მაისი სპორტის სასახლე

დინამო 75:93 ბასკო


11:18, 15:24, 17:25, 32:26
დინამო: თორთლაძე (10), ხოშტარია (14), ბეჟანიშვილი (2), მინაშვილი (8)...



ნურბერ კანიძე

ბურაბ დეულენავაშვილი ფოტო

ბათუმური პეიზაჟი თბილისში დინამოს ტალღა ბასკომ გემით გააპო



„ბასკოს“ ძველი და ახალი ძალა, კახა შენგელია და გიორგი ცინცაძე


ბურაბ დეულენავაშვილი ფოტოები



ფინალის პირველი ჯახი აი, ასეთი მოულოდნელი შედეგით დასრულდა. თუმცა რა ჯახი, ეს იყო ძლიერი და სუსტი გუნდების, ყოველ შემთხვევაში, მომზადებული და მოუმზადებელი გუნდების შეხვედრა...

ამ შეხვედრისთვის საფუძვლიანად მომზადებულმა „ბასკომ“ უპირველეს ყოვლისა საკუთარ მოედანზე ააწყო საქმე ბათუმელთა მწვერთლის, ნურბერ კანიძეს განაფიქრებდა გაამართლა. ზონაში ჩამდგარმა „ბასკომ“ უმტკივნეულოდ გაუძლო თბილისელთა საწყის აგრესიას და მერე...

ირაკლი შირაზილი



ჩონსი ბილაფსმა ეს ბურთი ვერ ჩააგდო და მსაჯებს აუხიარდა, ჯეისონ კიდი მუხუცმაო. არადა, კიდი უბრალოა

REUTERS დეტროიტლი

არაპინ რუმ არ ელოდა


მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი
დიუსელდორფი, თიხნარი საპრიზო 1,85 მილიონი ფუნტი

მეორე ტური
ნიტალი ჯგუფი
ამსტრალია — აშშ 3:0
ლიტონ პიუტი — ჯეიმს ბლეიკი 6:3, 6:3; შიონ ართურსი — ტოდ მარტინი 7:4 (7:4), 7:5; ართურსი, ტოდ რიდი — მარდი ფიში, გრეიდონ ოლივერი 6:4, 6:2
ჩეხეთი — ესპანეთი 2:1
რიდე სტენანგი — ალანს კორნა 4:6, 4:6; ირში ნოვაკი — კარლოს მონია 4:6, 7:5 (7:5), 6:2; სტანანგი, ნოვაკი — მონია, კორნა 6:3, 6:4
წინა წრეში ჩეხეთთან წაფორხილეს

ბულმა ავსტრალიელებმა მეორე ტურში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. ისევ იმარჯვა ლეიტონ პიუტიმ, ვინაც ჯეიმს ბლეიკზე ადრესეზონში, პოპმენის თასზე ნაგები დამარცხებისთვის იძია შური.
კისკას ოზბიკს მხარი შეებრებულმა უეინ ართურსმაც აუბა და თავისსავით ვეტერან ტოდ მარტინს მოუგო. აქ ყველაფერი უკვე გარკვეული იყო, მაგრამ ართურსსა და ტოდ რიდს მაინც არ დაზარებიათ მარდი ფიშისა და გრეიდონ ოლივერის მოშობა.
ავსტრალიელთაგან განსხვავებით კვლავ ჩაიფლავეს ჯიშად მეთიხნარე ესპანელებმა და არავინ რომ არ ელოდა, ნახევარფინალის მიღმა აღმოჩნდნენ. ამერიკელებთან მათი საპირველტურე შესლის დარად, ჩეხეთთან დაგნარშიც ყველაფერი ჯუფთთა რეკნამ გაარკვია.

NHL სტენლის თასი

შიგერს ნიჭი გერ გაუზომებს



„იხვთა“ შეუვალი მეკარე ჟან სებასტიან ფიგერი

ჩრდილოამერიკელი ექსპერტები ვერ ხსნიან ანაპაიმის ფენომენს, მის ესოდენ წარმატებული თამაშის საიდუმლოს. რა თქმა უნდა, ლიგის ისტორიაში მოიძებნება მსგავსი ამბები — ესა თუ ის გუნდი სრულიად მოულოდნელად გასულა თაისი ფინალში (თუნდაც კაროლინას შარშანდელი სეზონი გაეინსეროთ), მაგრამ ესოდენ დამაჯერებლად ეს არავის გაუკეთებია თავად განსაჯეთ, 12 გამარჯვების მოსაპოვებლად „მძლავრმა იხვებმა“ მხოლოდ 14 მატჩი იკმარეს: ჩემპიონი დეტროიტი მშრალი ანგარიშით მოისროლეს პლეი ოფიდან, მას დალასიც მიაყოლეს, ხოლო მინესოტა მთლად გაასაცილავეს. ალბათ გაინტერესებთ, რას ამბობენ ამის თაობაზე წამყვანი ტელეკომპანიებისა და საიტების ექსპერტები. მათ სხვა ვერაფერი მოიგონეს და ყველაფერი ანაპაიმის მეკარე ჟან სებასტიან, ფიგერის აშუნიციას მიაწერეს, დადგინდნენ ზომებს ადამაქებაო. მართლაც, ფიგერი ერთი შეხედვით ლამის ფარავს კარს. თავდაცვითი და მძიმე (185სმ, 90კგ), მისი ფეხსაფურები და სხვა დამცავები დასაშვების მაქსიმუმია (მეტი ვერ იქნება, ნკლ-ში ყველაფერს ამოწმებენ). მეორე მხრივ, ეს ზედმეტი წონაა და ხელს უნდა უშლიდეს მეკარეს. ასე რომ, აშუნიცია აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ფიგერი საუცხოო ფორმაშია, პოზიციასაც ზუსტად ირჩევს და ლამის ყველა შაბის მოგერიებასაც ამის წყალობით ახერხებს. ბევრი მას უკვე უწოდებს მეორე პატრიკ რუას და მის დარ ბრწყინვალე კარიერას უწინასწარ

რმეტყველებს. ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს ალბათ ESPN-ის მთავარი ექსპერტი ბრაიან მელროუზია. „როცა მათ თამაშს უყურებ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ანაპი იამო... 0:0-ით მოგებას აპირებს“ — ამბობს მელროუზი. მართალიცაა, გუნდი ყველა მატჩს ისე ატარებს, თითქოს თავიდანვე ფორა აქვს მიღებული და გოლის გატანაზე სულაც არ ფიქრობს. „მძლავრი იხვების“ ხუთეული საკუთარი ზონის მისადგომებს იცავს და მშვიდად ელის თავის შანსს მაშინაც კი, როცა არცთუ სახარბიელოდ მისდით საქმე. ცხადია, ასეთი დაცვის დამლევა ძალიან ძნელია, მაგრამ არანაკლებ რთულია, გამოიჩინო საოცარი გამძლეობა და მოთმინება, არ უღალატო არჩეულ ტაქტიკას. აღარას ვამბობთ იმ უმძლავრეს ფიზიკურ მომზადებაზე, რომელსაც ასეთი სტილი მოითხოვს. თუნდაც სანდის ოზონში ავიდით. პოკეისტი, რომელიც მთელი კარიერის მანძილზე შემტევე მცველად ითვლებოდა, ახლა საკუთარი ზონიდან ცხვირსაც არ ყოფს და უშუალო მოვალეობებს ფრიადზე ასრულებს.
ნათქვამზე დასკვნებს ნაჩქარევად ნუ გამოიტანთ. არავითარი ანტიპოკეი, „მძლავრი იხვები“ ჩინებულად თამაშობენ კონტრშეტევაზე მით უმეტეს, რომ საკმაოდ ბევრი მაღალი კლასის ოსტატი ჰყავთ — კარია, ოუთსი, სიკორა და სხვები. ასე რომ, ანაპაიში მომავალ მეტოქეს, ოტავა იქნება თუ ნიუ ჯერსი, დიდ თავსატეხს გაუჩენს.
სამგველ ღარიბიანი

LAUREUS-ის სპორტის აკადემიამ მონტე კარლოში მორიგი ყოველწლიური ჯილდოები ჩამოარჩია. გვაქვს პატივი, გაუწყოთ, რომ წლის საუკეთესო ხვად და

მედორ სპორტსმენებად ამერიკელები — შესაბამისად, ველომრბოლი ლანს არმსტრონგი და ბაყვბაყვმეოგნე სერენა უილიამსი დასახელდნენ.



ლანს არმსტრონგი




სერენა უილიამსი

დიდვარსკვლავთა ღამე

ამ ჩემპიონი ბნელი ცხოვრების მნათობნი

არმსტრონგმა, ვინაც წლეულს ზედიზედ მეხუთედ ეცდებოდა ტურ დე ფრანსის აკლებას, ჯილდოს ორგზის მომნავერულ მეგოლფე ტაივრ ვუდსს, შარშანდელ ლაურეატ მხაელ შუმბერს, ბრახილიელ რინალდოსა და რეკორდოსან ნორვეგიელ მთხილამურე ოლე ეინარ ბიორნდალენს აჯობა.
ეს მეორედ მოხდა, რაც რომ არმსტრონგმა აკადემიის ჯილდო მიიღო. პირველად ის 2000 წელს გამოარჩიეს, ოღონდ მაშინ მან „წლის დაბრუნების“ ნომინაციაში იპირველა.
ვინმეს თუ არ ახსოვს, შევახსენებთ — 1998 წელს არმსტრონგმა სასაქსო ჯილდოს სიმსიენე მოიჩინა, მომდევნო წელს კი რობოლას დაუბრუნდა და 1999-2002 წლებში ზედიზედ ოთხჯერ იმარჯვა სეზონის სეფერბილაში, ტურ დე ფრანსზე.
ჯილდო მან მეუღლე კრისტინთან ერთად ჩაიბარა. ის და კრისტინი დიდი ხნის განმარების შემდეგ ახლახან შერიგდნენ და მას შემდეგ ასე საჯაროდ ერთად იხიან ჯერ არავის ენახა.
არმსტრონგს ჯილდო ტურ დე ფრანსის ხუთგზის გამარჯვებულმა, დეგენდარულმა ესპანელმა მიგელ ინდურაინმა გადასცა, ვისთან გათანაბრებას ეცდებოდა კიდევ წელს იგი.
„ნამდვილად არ ვიცი, ვიმსახურებ თუ არა ამ პატივს, მაგრამ ყველას გარწმუნებთ, მას სიამაყით ვატარებ“ — თქვა არმსტრონგმა.

თუკი ეს დიდი მრბოლი ჩვენი ყურადღების არეში მხოლოდ ზაფხულში ექცევა ხოლმე, ქალთა შორის წარჩინებული სერენა უილიამსის მძლავრი სხეულით ტკობა ღამის ყოველდღიურ საღვამბად გადაგვქექეს.
მაგრამ ფაქტებს ვერ გაიძევა — უმცროსმა შავამ შარშანდელი როლანგაროსიდან მოყოლებული წლეულდელი ავსტრალიის და პირველობის ჩათვლით ზედიზედ ოთხივე სლემტურნირი გაუგვა და ჯილდოსთვის მოცილე ქალებსაც მთელი თავის აუზღუდავი მკერდით გაუსწრო.
ეს მოცილე ქალები შვედა მეგოლფე ანიკა სორენსტამი, ბრიტანელი მემარათონე და მსოფლიოს რეკორდოსანი პოლა რედკლიფი, ამერიკელი სპრინტერი მარია ჯონსი და ხორვატი სამთო მთხილამურე იანცა კოსტელონი იყვნენ.
იმის მიუხედავად, რომ რინალდო წლის საუკეთესო კაცთა ჩამონათვალში უპირველეს საფეხურს ვერ შესწვდა, გულნატკენი მაინც არ დარჩენილა.
მას იმ დღეს ორი ჯილდო მაინც ერგო — ერთი როგორც წლის საუკეთესო გუნდის, ბრახილის საფეხურით ნაკრების წევრს, ხოლო მეორე როგორც „წლის დაბრუნების“ ნომინაციაში გამარჯვებულს.
ამ ნომინაციაში მან ავსტრიელ სამთო მთხილამურე ჰერმან მაიერზე,



პოლა რედკლიფი




არნოლდ შვარცენგერი

რონალდო


დუგლასის მეგობრები



REUTERS ბაზუდურ სიტყვიდან



REUTERS ბაზუდურ სიტყვიდან



მაიკლ დუგლასმა, რომელიც ხელის აწევით უსალოშება მოსიერიებს, უკვე 'შერამდენედ' მოაწყო "მაიკლ დუგლასისა და მეგობრების საგოლფე ტურნირი". ამბავი ნევადას ერთ-ერთ სამოთხეში, კასკატას გოლფ-კლუბში მიმდინარეობდა და მასში ბევრი ცნობილი კაცი მონაწილეობდა. იერთო უბერებელი სილვესტერ სტალონე თავის გმირს, მოკრივე როუის ბაძავდა, გულით უბერებელი კლინტ ისტვუდი კი ოდნავ შეეწუხებინა სიცხესა. მთავარი პრიზი ერთ-ერთი სატელევიზიო ფონდისთვის მილიონი დოლარის მოგება იყო. ერთი მოქმევეთ ვინც ჩააგდებდა, მილიონიც იმის სახელით გასხვისდებოდა. სამწუხაროდ, ამ ჯერზე, ასე დარტყმა ვერავინ მოახერხა.

პროფესიონალი გუნდი და პროფესიონალი ლატარია

ბრიტანეთის მუზეუმის წინ, იუხიან ჯექები გაუშლიათ ბრიტ ოლიმპიურ ჩემპიონებს: სალი განელს (მარცხნივ, დაბლა), ლინფორდ კრისტის (შუაში), შერონ დევისს (მარჯვნივ, დაბლა), ჯეისონ ქველის (მარცხნივ, მაღლა) და ბენ ეინსლის (მარჯვნივ, მაღლა). ეს დროშების შლა ერთგული ლატარიის მხარდასაჭერად ტარდება. სხვლისს ყველაზე პოპულარული ლატარიის მესვეურებს ახალ სტრატეგიად გამოუცხადებიათ, რომ ერთგულ ოლიმპიურ გუნდს ფინანსურად დაეხმარონ.



REUTERS ლონდონიდან



REUTERS ჰამბურგიდან

ბორისი და გაბრიელა

ახლახან მომთავრებულ ჰამბურგულ მასტერსტურნირს სხვებთან ერთად დიადი გერმანელი ბორის ბეკერი და სახელოვანი არგენტინელი გაბრიელა საბატინიცი სტუმრობდნენ. ტურნირი დიდ ფინანსურ და რამე-რუმე გაჭირვებაშია, ამიტომაც ბეკერი ყველახანად ცდილობს, იქაურ მიღეთს კორტიკუნ უფრო ხშირად გაახედოს ხოლმე. პოდა, გაბრიელა საბატინიცი ხოშიანი სატყუარა რაღა ვინდა?! შავშუშხა გაბრა თავის დროზეც კაი რამე იყო და ახლაც ბევრი თვალი დაედგა.

ბურთი ებონა?!

"ბრიტ რეკოს" მითამაშე მასიმილიანო ფერეტის (II) პონგეიდის დინამიულ რაიშიონდ ფოდორის თავი, ჩანს, წყალბურთის ბურთად მოუწვენა. ეტყობა, ამიტომაცაა, მის სახეს ასე გაშმაგებით რომ ბლუჯავს... ეს ჩემპიონთა ლიგის ფინალში მოხდა. მატჩს ვენუამ უმასპინძლა და იტალიელებმა უნგრელებს 4:1 მოუგეს.



REUTERS ბერლინიდან

სარბიელი
საორბული გაზეტი
გამოიცავა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიმინაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კობორაძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამაძე
რედაქტორი ფეხბურთის რედაქტორი
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, გ. სუციშვილი

ინფორმაციის რედაქტორი ირაპლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი ვაია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,
ლევან კელაურაძე, ირაკლი პურტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირაძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღონაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობაძე, ლალი გონიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგიაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დეკაძე, ფატი დევილიძე, მადლა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბაგის გამზირი 42, II
პირაპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი - 79, საზოგადოებრივი
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieri.com.ge